



ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№596

2016 წლის 13 ივნისი

ქ.ლაგოდები

ლაგოდების მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. შეიქმნას ლაგოდების მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია.

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

- იოსებ ტყემალაძე - გამგებლის მოადგილე კომისიის წევრები:
- გიორგი ჩალათაშვილი - ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი
- ივანე წიქარიშვილი - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი
- ნუგზარი მაჭარაშვილი - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების შტატგარეშე მოსამსახურე „ინფრასტრუქტურის საკითხებში“
- ქეთიანო წერეთელი - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების შტატგარეშე მოსამსახურე „ინფრასტრუქტურის საკითხებში“
- გია გოლეთიანი - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების მთ. სპეციალისტი „ინფრასტრუქტურის საკითხებში“
- ივანე მანაგაძე - ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი
- ალექსანდრე შავლაყაძე - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების მთ. სპეციალისტი „ინფრასტრუქტურის საკითხებში“
- ნუგზარი მაისურაძე - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობისა და ოფიციალური დონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზების კოორდინაციის განყოფილების შტატგარეშე მოსამსახურე „ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში“

მუხლი 3. კომისიის წევრად, აგრეთვე, განისაზღვროს გამგებლის წარმომადგენელი სტიქიის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში.

მუხლი 4. კომისიას დაევალოს ყოველი სტიქიის შედეგების შესწავლა და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

მუხლი 5. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის თავმჯდომარეს - იოსებ ტყემალაძეს.

მუხლი 6. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 7. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია